

პრესრელიზი

ჯი-აი-ჯიმ საქართველოს განახლებადი ენერჯის განვითარების ასოციაციის წევრებსა და USAID ის „მმართველობა განვითარებისთვის“ პროგრამის წარმომადგენლებს უმასპინძლა.

შეხვედრაზე ასოციაციის წევრები „მმართველობა განვითარებისთვის“ (G4G) პროგრამის ფარგლებში განხორციელებული კვლევის „ელექტროენერჯის მოხმარების პროგნოზი საქართველოში“ შედეგებს გაეცნენ, რომლის მიხედვითაც ელექტროენერჯის მოხმარება 2030 წლამდე მნიშვნელოვნად გაიზრდება და 18 მილიარდ კვ. საათს მიაღწევს.



აღსანიშნავია, რომ რომ პროექტის ფარგლებში შემუშავებული მოდელი იძლევა წლების მიხედვით არა მხოლოდ ჯამური მოხმარების პროგნოზს, არამედ მოხმარების პროგნოზი დაყოფილია საბოლოო მომხმარებლების ტიპის მიხედვით (კომერციული, ინდუსტრიული, ოჯახური მეურნეობები და ა.შ.).

შეხვედრის დასასრულს, ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ ლევან ვეფხვაძემ, რომელიც ამავდროულად საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს წარმოადგენდა შეხვედრაზე, აღნიშნა, რომ საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი მზადაა შემდგომშიც უმასპინძლოს ასოციაციის მსგავს შეხვედრებს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ამით ხაზი გაუსვას საკუთარ მხარდაჭერას განახლებადი ენერჯის განვითარების მნიშვნელობას საქართველოში.

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

